საქართველოს
პარლამენტი

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის გამზ. 26

№ 19077

02 09 2013 წელი

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გიგზავნით რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის საქმიანობის წლიურ ანგარიშს (2012 წლის ოქტომბერი–2013 წლის სექტემბერი).

გთხოვთ მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: 22 ფურცელი.

პატივისცემით,

ერეკლე ტრიპოლსკი

კომიტეტის თავმჯდომარე

რაფელ გელანტია.2289032

ანგარიში

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის (2012 წლის ოქტომბერი-2013 წლის 1 სექტემბერი) საქმიანობის შესახებ.

I. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი საანგარიშო პერიოდში თავის საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, პარლამენტის რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად ქვეყანაში შექმნილმა ახალმა რეალობამ სათავე დაუდო სახელმწიფოს ცხოვრებაში ტოტალიტარული მემკვიდრეობისა და საზოგადოებისათვის თავსმოხვეულ ფსევდო ღირებულებათა დაძლევისა და რადიკალური დემოკრატიული ცვლილებების პროცესებს, რამაც განაპირობა კომიტეტის საქმიანობის მნიშვნელოვანი განახლების აუცილებლობა, მათ შორის და უპირველესად საკანონმდებლო, საკონტრო და საზედამხედველო უფლებამოსილების ფარგლებში, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. ქვეყანაში არსებულული ახალი რეალობის შესაბამისად კომიტეტი ხელს უწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას, ადამიანებთან მუშაობის გაუმჯობესებას, პიროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მეშვეობით საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობისადმი რწმენის აღდგენას.

ახალ ვითარებაში ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ბუნებრივია, კომიტეტის ამოცანაა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ოპტიმალური საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადგილებზე ეკონომიკური და სოციალური ვითარების რადიკალური შეცვლა, დაწყებული რეფორმებისა და პოზიტიური ცვლილებების გაღრმავება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამართლიანობის აღდგენა და მოსახლეობის რეალური კეთილდღეობა.

ამ მიზნებისთვის კომიტეტის საკანონმდებლო, საკონტროლო და საზედამხედველო საქმიანობა განისაზღვრა კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების" პოლიტიკურ პლატფორმის და საქართველოს სამთავრობო პროგრამის - „ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსთვის" მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის საქმიანობა წარიმართებოდა „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპების (2013-2014 წლები) შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის N223 განკარგულების შესაბამისად. ამ ცვლილებების განხორციელებამ, რომელიც თავისი არსით რევოლუციურია, უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ქვეყანაში ამჟამად მოქმედი მოდელის ძირფესვიანი განახლება. მთლიანობაში საკითხი შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებამდე (2014 წლის მაისი) თვითმმართველობის სფეროში უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას, ფაქტიურად ახალი საკანონმდებლო და სამართლებრივი აქტების შემუშავებას,

რომელმაც უნდა მოიცვას საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს კანონი „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ", საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ", საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების შესახებ", საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი და სხვა. გამომდინარე აქედან, უმოკლეს დროში შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს 70-ამდე ზოგადმარეგულირებელ და დარგობრივ კანონებში. მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად არჩევნებამდე ასევე შესამუშავებელია საქართველოს კანონი „საქართველოს მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების შესახებ", საქართველოს კანონი „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ".

დაგეგმილი რეფორმების არქიტექტურა გულისხმობს ქვეყნაში თვითმმართველობის მთელი ნაგებობის აშენებას ქვემოდან ზემოთ და არა პირიქით, როგორც ამას ვცდილობდით ბოლო 30 წლის განმავლობაში. უფრო ზუსტად, რეფორმა გულისხმობს დემოკრატიისა და დემოკრატიზმის (როგორც ადამიანთა თანაცხოვრების ბუნებრივი წესის) განვითარების გარემოს შექმნას საზოგადოების საძირკველში-ოჯახის, უბნის, დასახლების, სოფლის (თემის) დონეზე. ისევე, როგორც ადრე ევროპის განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, საქართველოს თითოეულ სოფელში (დასახლებაში) შეიქმნება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებრივ პროცესებში მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობის დემოკრატიული ინსტიტუტი. მოხდება მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების რაოდენობის გაზრდა, მათი გაძლიერება ფუნქციური და მატერიალური თვალსაზრისით, სამხარეო მმართველობის დონეზე დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი კომპონენტები.

ამ მიზნისთვის საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტთან ერთად, 2013 წლის ბოლომდე განახორციელებს ძირითად საკანონმდებლო ცვლილებებს. 2013-2014 წლებში გატარდება სხვადასხვა სამართლებრივი, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებები, რათა 2014 წელს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნებისთვის უზრუნველყოფილი იქნას დეცენტრალიზაციის მიმართულებით რეფორმების, უფრო ზუსტად, ახალი სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი ეტაპი. 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ ეტაპზე განხორციელდება ახლად ჩამოყალიბებული სისტემის სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური, მართვის ეფექტიანობისა და დემოკრატიულობის გაღრმავების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თითმმართველობის კომიტეტში და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ასევე პარტნიორი სამინისტროებში შესრულებულია დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაოები და შემუშავებულია საქართველოს კანონის პროექტები: „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" (რომელიც მოიაზრება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე უნივერსალური სამართლებრივი დოკუმენტი), „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ", ასევე კანონის პროექტი „საქართველოს მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების შესახებ."

ამ კანონპროექტებით და სხვა საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრება:

1. სასოფლო დასახლების სტატუსი (როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი). სასოფლო დასახლებაში ჩამოყალიბდება პირდაპირი დემოკრატიის ეროვნული ნაირსახეობა, - საზოგადოებრივი თვითმმართველობა სოფლის კრების სახით, რომელიც

აირჩევს კრების თავმჯდომარეს და წარმომადგენელთა საბჭოს. რეფორმის პირველი ეტაპის დასრულებამდე, სოფლის საერთო კრებებს და არჩევით პირებს ექნებათ "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში და სხვა პროგრამებით სასოფლო დასახლებებში განსახორციელებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევისა და მონიტორინგის ფუნქცია, რომელიც გარდამავალ პერიოდში საქართველოს მთავრობისთვის ასევე იქნება ძირითადი რგოლი და საშუალება ადგილობრივ მოსახლეობასთან დიალოგისა და კონსულტაციისთვის.

საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფუნქციები მომავალი ადგილობრივი არჩევნების შემდგომ უშუალოდ ინტეგრირებული იქნება თვითმმართველობის სისტემაში და თვითმმართველი თემის (მუნიციპალიტეტის) კომპეტენციების ფარგლებში განახორციელებს კანონით მისთვის მინიჭებულ და მუნიციპალიტეტისგან დელეგირებულ უფლებამოსილებებს, მათ შორის ქონების, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებში.

2. *მუნიციპალური თვითმმართველობა,-დასახლებები ან დასახლებათა ერთობლიობა,* როგორც თვითმმართველი ერთეულები - თვითმმართველი ქალაქები და თვითმმართველი თემები. ადგილობრივ არჩევნებამდე კანონით დადგინდება მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული მოწყობის დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩარჩო-კრიტერიუმები და პრინციპები. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე და ადგილობრივი სპეციფიკის (ისტორიული, ტრადიციული, ფსიქოლოგიური და სხვა) გათვალისწინებით განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ფორმირება, დამტკიცდება თვითმმართველი ერთეულების ნუსხა და საზღვრები, რომლებშიც უნდა გაიმართოს 2014 წლის ადგილობრივი არჩევნები.

მომავალ ადგილობრივ არჩევნებში ყველა თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო არჩეულ იქნება 2 წლის ვადით,- პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, პერსონალური პროპორციული და ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემით, ასევე პირდაპირი წესით აირჩევიან თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელები (გამგებელი სოფელში/თემში და მერი - ქალაქში). თვითმმართველობის ორგანოებისათვის განისაზღვრება ექსკლუზიური უფლებამოსილებების ნუსხა. ისინი კანონმდებლობით მათთვის განსაზღვრული ექსკლუზიური უფლებამოსილებების ძირითადი ნაწილის განხორციელებას დაიწყებენ 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ.

მნიშვნელოვანია, რომ ექსკლუზიური უფლებამოსილებების ნუსხაში მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოებს ძირითადად მინიჭებული ექნებათ შიდა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის საკითხები (მოქალაქეთა საცხოვრებელი, საბინაო-ყოფითი, მომსახურებითი, სოციალური დაცვა და ა.შ.) და შემდგომ ისინი არსებითად კონცენტრირებული იქნება მუნიციპალურ დონეზე. კანონმდებლობით აგრეთვე განისაზღვრება უფლებამოსილებათა დელეგირების პრინციპები და მექანიზმები. დელეგირება განხორციელდება კანონით, ან ხელისუფლების ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, დელეგირებისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესაბამისი ფინანსური რესურსების უთუო გადაცემით. დელეგირებულ უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, ადგილობრივ დონეზე იქნება ცენტრიდან დელეგირებული საერთო-სახელმწიფოებრივი ფუნქციების ცალკეული (მომსახურებითი, ადმინისტრაციული, სოციალური, ეკონომიკური, მარეგისტრირებელი

და სხვა) კომპონენტები, რომელიც საჯარო ხელისუფლებასთან მოქალაქეთა უშუალო კონტაქტებსა და საჭიროებებს მოიცავს.

საკანონმდებლო ბაზის მიღების შემდგომ საქართველოს მთავრობა განახორციელებს უფლებამოსილებების გამიჯვნის კონკრეტულ სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს (ინფრასტრუქტურული ობიექტების, ბუნებრივი რესურსების და მიწის კატეგორიებად გამიჯვნის, მომსახურების მიმწოდებელი სუბიექტების ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმების ადაპტირებას ახალ მოდელთან და სხვა).

3. *სამხარეო წარმომადგენლობითი ორგანოს* ფორმირება მოხდება მხარეთა შემავალი მუნიციპალური თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების წარმომადგენლებისგან. გათვალისწინებული იქნება სამხარეო საბჭოში ოპოზიციური სუბიექტების და უპარტიო წარმომადგენლობის ასახვა.

მხარის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი იქნება მხარის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. სამხარეო საბჭო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამ კანდიდატს შეარჩევს, რომელთაგანაც საქართველოს მთავრობა შეარჩევს და დაამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ექსკლუზიური უფლებამოსილებების სახით მხარეებს გადაეცემა შიდარეგიონული ინფრასტრუქტურის ის ნაწილები, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მახასიათებლებით, ეკონომიკური მასშტაბით ან მართვის და მომსახურების მიწოდების სპეციფიკით ეფექტურად ვერ განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. აღნიშნულში ძირითადად შევა შედარებით მსხვილი ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა, ასევე ბიზნეს-გარემოს განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტები. სამხარეო დონეზე სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ასევე დელეგირებული იქნება მსხვილი კაპიტალური პროექტები, საერთო ეროვნული პროგრამები. სამხარეო ხელისუფლება უფლებამოსილი იქნება აგრეთვე განახორციელოს მასში შემავალი თვითმმართველი ერთეულისგან ქვემოდან ზემოთ დელეგირებული უფლებამოსილებები.

4. საქართველოს დედაქალაქს-თბილისს ექნება განსაკუთრებული სტატუსი, რომელშიც კონცენტრირებული იქნება, როგორც მუნიციპალური თვითმმართველობის, ასევე სამხარეო თვითმმართველობის ფუნქციები. დედაქალაქი - დაიყოფა მუნიციპალიტეტებად. თბილისის წარმომადგენლობითი ორგანო - ქალაქის საბჭო და მუნიციპალიტეტის საკრებულოები. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში იქნება თბილისის მერია და მუნიციპალიტეტების გამგეობები. მერი აირჩევა პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

სამხარეო თვითმმართველობის ორგანოების და ქალაქ თბილისის ხელისუფლების ახალი მოდელის ფორმირება მოხდება 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად.

5. 2014 წელს, კანონმდებლობით განისაზღვრება მუნიციპალური და სამხარეო ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებები და მოხდება შემოსავლების გამიჯვნა. მუნიციპალურ და სამხარეო ბიუჯეტებს კანონმდებლობით გარანტირებული ექნებათ საკუთარი შემოსავლის სახეები, მათ შორის,-საგადასახადო შემოსავლები, ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული შემოსავლები, მოსაკრებლები, სხვა შემოსავლები, ასევე მუნიციპალურ ბიუჯეტებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაეცემათ გამოთანაბრებითი ტრანსფერები.

საგადასახადო შემოსავლების გამიჯვნისას კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი, ზიარი და საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები. ქონების

გადასახადი იქნება ადგილობრივი ტიპის და წარიმართება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. საშემოსავლო გადასახადი იქნება ზიარი ტიპის და დადგენილი წილობრივი პროპორციით განაწილდება მუნიციპალურ, სამხარეო და ცენტრალურ (ფედერალურ) ბიუჯეტებს შორის. მოგების გადასახადი იქნება ზიარი სამხარეო ბიუჯეტსა და სახელმწიფო ბიუჯეტს შორის. არაპირდაპირი გადასახადები იქნება საერთო-სახელმწიფოებრივი. შეიცვლება საშემოსავლო გადასახადის პრინციპი, ყველა თვითმმართველ ერთეულს, მუნიციპალეტეტს(მუნიციპალიტეტთა გაერთიანებას) და მხარეს ექნება საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები ორგანულ კავშირშია ქვეყნის სახელმწიფო-ტერიტორიულ მოწყობასთან, რაც ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, მით უფრო, რომ დეოკუპაციის პრობლემის გადაწყვეტა,-აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტატუსი, კონსტიტუციური ნორმების მძევალი არ უნდა იყოს.

ქვეყანაში რეალურად არსებული ახალი პოლიტიკური ვითარებისა და ამოცანების შესაბამისად განახლდა კომიტეტის დებულება, გაძლიერდა დემოკრატიზმის რესურსი კანონშემოქმედების მიმართულებით. აღსანიშნავია, კოჰაბიტაციის უზრუნველსაყოფად შემუშავდა პარლამენტისა და კომიტეტის ოპოზიციური ფრთის წევრებთან თანამშრომლობის ახალებური მიდგომები, რომელიც გულისხმობს ქვეყნისა და მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებთან დაკავშირებით ოპონენტებთან კონსტრუქციულ დიალოგს, კორექტულობასა და თავაზიანობას საპარლამენტო ურთიერთობებში.

საშემოდგომო სესიისთვის დაგეგმილია კომიტეტის საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა გაძლიერების ღონისძიებები, გასვლითი სხდომები თვითმმართველ ერთეულებში, მოსახლეობასთან შეხვედრები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით ადგილებრივი პრობლემების გაცნობა, მიმდინარე ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების მინიტორინგის განხორციელება.

ცნობილია, რომ 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილი აქვს საზოგადოებაში დაგროვილი უკმაყოფილების მუხტის საპროტესტო და სხვა აქციების სახით გამოვლენას, რაც ყოფილი ხელისუფლების ავტორიტარული მმართველობის წლებში მიჩქმალული ადამინის საყოველთო უფლებების დარღვევის და ღირსების ხელყოფის, წამების, უსამართლობის, ჩაგვრის, საკუთრების წართმევის, გაყალბებული არჩევნებისა და სხვა ნეგატიურ მოვლენების მიმართ ბუნებრივი რეაქციაა (რაც ხანდახან წაქეზებული და გაზვიადებულია აგრესიული ოპოზიციური ძალებისა და მიკერძოებული მედიასაშულებების მიერ). ამ საკითხების რიგშია ცალკეულ ქალაქებსა და სოფლებში ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე შუღლის გაღვივების მცდელობა, რაც, თუნდაც საქართველოსთანა ტრადიციულად ტოლერანტული, მაგრამ მულტიეთნიკური და მულტიკონფესიური საზოგადოებისთვისაც საშიში პრეცედენტია. აღნიშნულთან დაკავშირებით კომიტეტი, მისი ცალკეული წევრები აქტიურად არიან ჩართული სოცილურ დიალოგებში (გია ჟორჟოლიანი, როგორც სოციალური დიალოგის სამთავრობო კომისიის წევრი) ადგილობრივი თვითმმართველობებში, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, სოფლებში თუ კონკრეტულ საწარმოებში მიმდინარე რთული პროცესების კანონიერების ჩარჩოში მოსაქცევად, მწვავე დაპირისპირებათა და კონფლიქტური სიტუაციების გონივრულ კალაპოტში ჩაყენების უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ცხადია, რომ ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში საკადრო ცვლილებები და განახლება სავსებით ნორმალური და ბუნებრივი პროცესია, რომლის ცივილიზებული რეგულირება შესაძლებელი უმტკივნეულოდ, ვთქვათ, ისე, როგორც ეს განხორციელდა დედაქალაქის საკრებულოში, ქალაქ ქუთაისში, ქალაქ ბათუმში და სხვა მრავალ მინიციპალურ ერთეულში. ეს ბევრი ჩვენ თანამოქალაქისთვის ნამდვილად არის ქართული სინამდვილისთვის უცხო და გასაკვირი სიახლე (დამარცხებული ძალისთვის კი ე.წ. გაუგონარი ძალადობა), მაგრამ ჩვეულებრივი მოვლენაა განვითარებული დემოკრატიის ნებისმიერ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური სისტემა და, შესაბამისად, ყველა დონის არჩევითი ორგანოებიც მრავალპარტიული, რასაც ჩვენც უნდა შევეგუოთ და უნდა ვისწავლოთ ცივილიზებული თანამშრომლობა და თანაცხოვრება.

განვლილ პერიოდში კომიტეტი დადგენილი წესით და ოფიციალური ფორმატის ფარგლებში ნაყოფიერად თანამშრომლობდა საქართველოს მთავრობასთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსებთან და წარმომადგენლობებთან, კომიტეტის წევრები მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის ოფიციალურ დელეგაციებში.

კომიტეტის ყურადღების ცენტრშია ურთიერთობა საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებით დაინტერესებულ საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებთან, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. კომიტეტი სავსებით იზიარებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს შეფასების ასოციაციის" საწედებო მიზნებსა და ამოცანებს, რომლის ინტერესებშია წინასაარჩევნო დაპირებათა შესრულების მონიტორინგი, სიტყვისა და საქმის ერთიანობის უზრუნველყოფა.

ეროვნული მასშტაბით კომიტეტის ძირითადი პარტნიორებია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ეროვნული ასოციაცია და ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი.

2012-2013 წლებში კომიტეტის ტრადიციული დონორები და პარტნიორებია გაეროს განვითარების პროგრამა, ევროკავშირის დელეგაცია, „ვესტმისტერის ფონდი დემოკრატიისთვის", ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, შვეიცარიის განვითარების სააგენტო, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება, ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი, პოლონეთის, ჩეხეთის, ლიტვის, ესტონეთი საელჩოები, და სხვა. კომიტეტი და რიგი დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები აგრძელებენ ერთობლივი მემორანდუმით განსაზღვრული პროექტების განხორციელებას, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გაეროს განვითარების პროგრამის საპარლამენტო პროექტი "ძლიერი პარლამენტი კონსოლიდირებულ დემოკრატიაში", რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის რეგულირების პროცესში პარლამენტის და კომიტეტების მონაწილეობის ახლებურ გააზრებას.

კომიტეტი თავისი საქმიანობის საჯაროობას და გამჭვირვალობას, ასევე ქვეყნის მოსახლეობასთან კავშირურთიერთობას უზრუნველყოფს სატელევიზიო და რადიო გადაცემებში მონაწილეობით, მიმდინარეობს მუშაობა გაზეთის "რეგიონის დროით" ახალ ფორმატში აღსადგენად.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის შემადგენლობა, სტრუქტურა, საქმიანობის წესი, გაწეული საქმიანობა და სამომავლო ამოცანები ასახულია საქართველოს

პარლამენტის მთავარი პორტალის (www.parliament.ge) რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ვებ-გვერდზე, რომელიც ახლო მომავალში სრულად განახლდება შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და გაეროს შესაბამისი სტრუქტურის დახმარებით.

II. კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კომიტეტის 32 სხდომა. განხილულ იქნა 43 საკითხი, მათ შორის: 31 კანონპროექტი (კანონპროექტთა პაკეტი-63 კანონში ცვლილების თაობაზე), საქართველოს პრეზიდენტის და მიერ სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი 7 ხელშეკრულება და შეთანხმება. კომიტეტის თავმჯდომარისა და თავმჯდომარის პირველი მოადგილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადდა 3 კანონპროექტი. წამყვანი კომიტეტის სტატუსით მიღებულ იქნა 12 გადაწყვეტილება და 19 სავალდებულო დასკვნა.

საანგარიშო პერიოდში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტმა (წამყვანი კომიტეტის რანგში) განიხილა:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის თინათინ ხიდაშელის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული საქართველოს კანონის პროექტები:

-„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;"

-„საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;"

-,,საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე" და ,,ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე".

2. საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად ძიძიგურის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი:

- „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;"

- საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი ,,საქართველოს პარლამენტის წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 2 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

3. საქართველოს პარლამენტის წევრების ერეკლე ტრიპოლსკის და გია ჟორჟოლიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული საქართველოს კანონის პროექტები:

- „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ".

-„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ".

4. საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე."

საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრის თინათინ ხიდაშელის საკანონმდებლო ინიციატივის წესით მომზადებული კანონპროექტების - ,,საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების

თაობაზე“ და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე“-მიღებით ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის მარეგულირებელი ნორმები ერთიან სისტემაში მოექცა და გამოირიცხა იმ ტიპის მანიპულაციები, რაც თბილისის საკრებულოს მიერ განხორციელდა მოსაკრებლის მომსახურების საფასურის ტრანსფორმაციისა და ამ გზით თბილისელებისთვის დამატებითი ფინანსური ტვირთის დაწესებით; კანონში შეტანილი ცვლილებებით აღმოფხვრა ხარვეზი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან შესაძლო მანიპულაციების აღსაკვეთად. კანონმა განსაზღვრა, რომ მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ სულ მოსახლეზე 3 ლარს თვეში, ხოლო იურიდიული პირის, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის – 25 ლარს ერთ კუბურ მეტრ ნარჩენებზე. ოჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად, სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4 სულით, ამასთან მოსაკრებლის ოდენობა ფიზიკურ პირებზე დიფერენცრებულია სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და კანონმდებლობით დადგენილი სიღატაკის ზღვრის მაჩვენებლების შესაბამისად, რაც მნიშვნელოვანი წვლილია სოციალური სოლიდარობისა და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენად. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ასევე ფართო რეზონანსი მოჰყვა თინათინ ხიდაშელის საკანონმდებლო ინიციატივას საბავშვო ბაღებით მომსახურებისთვის მშობლების გადასახდელებისგან განთავისუფლების შესახებ; არსებული ინფორმაციით, უკვე რამდენჯერმე გაიზარდა ბავშვების რაოდენობა სკოლამდელ დაწესებულებებში, გამოინახა რესურსები შენობათა კეთილმოწყობისა და ახალი ბაგა-ბაღების გასახსნელად.

საქართველოს პარლამენტის წევრის ზვიად ძიძიგურის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებებით მოქმედი რეგლამენტიდან ამოღებულ იქნა ის პუნქტები, რომლებიც თვითმმართველ ერთეულს ავალდებულებდა დაეფინანსებინა პარლამენტის მაჟორიტარი წევრისა და მისი ბიუროს საქმიანობა. აღნიშნული ცვლილებით უფრო მკაფიოდ გაიმიჯნა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებისა და პარლამენტის უფლებამოსილებები, მაჟორიტარი დეპუტატისა და მისი წარმომადგენლობების მატერიალური და ფინანსური დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებზე.

საქართველოს პარლამენტის წევრების ერეკლე ტრიპოლსკის და გია ჟორჟოლიანის მიერ ინიცირებული კანონპროექტების „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ“ მიზანია ქვეყანაში მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის საფუძველზე საქართველოში ჩამოყალიბდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედითი დემოკრატიული სისტემა, დამყარდეს ურთიერთსაჭიროებასა და სუბსიდიარობაზე დაფუძნებული კავშირურთიერთობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობას შორის, უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში. ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად განიხილება სოფლებში საზოგადოებრივი თვითმმართველობის ინსტიტუტის დანერგვა, როგორც ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობისა და სათემო მობილიზაციის სტიმულირების ქმედითი მექანიზმი. ამ ინსტიტუტის შექმნამ (რომლის ანალოგია გვქონდა ისტორიულ საქართველოში) ხელი უნდა შეუწყოს სოფლის (თემის, უბნის, დასახლების) გაძლიერებასა და განვითარებას, სოფლის მოსახლეობის ინტერესების დაცვასა და რეალიზებას.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპების (2013-2014 წლებისთვის) შესაბამისად კომიტეტის თავმჯდომარის ერეკლე ტრიპოლსკის ხელმძღვანელობით კომიტეტში მომზადდა საქართველოს კანონის პროექტი „მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების შესახებ".

ამჟამად არსებული სახით კანონპროექტი განსაზღვრავს ძირითად მოთხოვნებს, პარამეტრებსა და კრიტერიუმებს, რომლის მიხედვით დასახლებებს მიენიჭებათ მაღალმთიანი და განსაკუთრებული (დეპრესიული, კომუნიკაციური და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით შეზღუდული) დასახლებების სტატუსი, ადგენს ჩარჩო პრივილეგიებს იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ამ ტერიტორიებზე ეწევიან ეკონომიკურ (სამეწარმეო-სამეურნეო, ტრადიციული შინარეწვის, სამონადირეო და ა.შ.) საქმიანობას, აგრეთვე შეღავათებს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ახორციელებენ სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათის მიზნობრივ პროექტებს, გარემოსა და საზღვრის დაცვით ღონისძიებებს, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს, ასევე აწესებს სოციალური დაცვის დამატებით გარანტიებს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ (მუშაობენ ან სწავლობენ) მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლების ტერიტორიაზე, ადგენს მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების განვითარების პრიორიტეტებს, დასახლებისთვის მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლების სტატუსის მინიჭების წესებს და გარემოებებს, მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების საფინანსო-საკრედიტო ხელეწყობის პირობებს, ამ დასახლებებში მცხოვრებ მოქალაქეებზე გასაწევი დახმარებების ზღვრულ ოდენობას და დაფინანსების წყაროს. კანონპროექტმა წინასაინიციატივო აპრობაცია გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებში, სამოქალაქო სექტორში. კომიტეტს მიაჩნია, რომ ამ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაობი და საჯარო განხილვები ხელს შეუწყობს მაღალმთიანობის კანონთან დაკავშირებით ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში ლამის ტრადიციად ქცეულ წინასაარჩევნო სპეკულაციებსა და მრავალგვარ ინსუნიციებს.

კომიტეტის რამდენიმე სხდომა მიეძღვნა საქართველოს პარლამენტის წევრების ელისო ჩაფიძისა და მურმან დუმბაძის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე" და მასთან დაკავშირებული კანონპროექტთა პაკეტის განხილვას.

„მაუწყებლობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებებით უზრუნველყოფილ იქნა მედია მდგომარეობის გაუმჯობესება, განისაზღვრა ამ სფეროში რეფორმების განხორციელების კონკრეტული გზების და საშუალებები, შეიქმნა მასთ ქერისა და მასთ ოფერის მყარი სამართლებრივი გარანტიები, შეიქმნა მედია-პლურალიზმის უზრუნველყოფის დემოკრატიული რეგულაციის პირობები, მედია განთავისუფლდება პოლიტიკური გავლენისაგან, გამჭვირვალე გახდება მედიასაშუალებების დაფინანსება, ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია. კანონპროექტის განხილვებთან დაკავშირებით მოწყობილ უამრავ ღონისძიებაში მონაწილეობდა კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც პროფესიონალი და ექსპერტი მაუწყებლობისა და საინფორმაციო დემოკრატიის საკითხებში, კომიტეტის წევრები და კომიტეტის აპარატი.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თობაზე".

კანონში ამ ცვლილების შეტანით განისაზღვრა ბორჯომისა და ნაბეღლავის მინერალური წყლებზე, კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის განსხვავებული ოდენობის განსაზღვრა, კერძოდ, აღნიშნულ მინერალურ წყლებზე არსებული მოსაკრებლის გაზრდას, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს შესაბამისი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის გადიდებას, მაგრამ არ დააზარალებს მომხმარებელს.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით დაიხვეწა საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისა და ადმინისტრირების მექანიზმები, განხორციელდა საგადასახადო სამართალდარღვევებისთვის განსაზღვრული სანქციების ლიბერალიზაცია, გასწორდა ზოგიერთი ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულები, რაც ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის.

კომიტეტს მიაჩნია, რომ წარმოუდგენელია ნებისმიერი დონისა და საფეხურის ძლიერი, ეფექტური და ავტორიტეტული ადგილობრივი თვითმმართველობა ადგილობრივი ეკონომიკის, მყარი საკუთარი შემოსავლებისა და თვითკმარი ბიუჯეტის გარეშე. უფრო მეტი, კომიტეტს უეჭველად მიაჩნია, რომ საბაზრო ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია მოსახლეობის დასაქმება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი მეწარმეების საქმიანი და კომერციული პარტნიორობის გარეშე. გამომდინარე აქედან, კომიტეტი ინტენსიურად თანამშრომლობდა აგრარულ საკითხთა კომიტეტთან ამავე კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" და მასთან დაკავშირებული კანონპროექტების მიღებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო პროცესში. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით კომიტეტმა ოცამდე შენიშვნა და წინადადება შეიმუშავა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი აისახა კანონში.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" ახალი კანონი შეესაბამება ხელისუფლების პოლიტიკურ პლატფორმას და სამთავრობო პროგრამას ქართული სოფლისა და აგრარული სექტორის აღორძინების თაობაზე, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საოჯახო შემოსავლების ზრდას.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საქართველოს დარგობრივი კანონმდებლობის ამჟამად მოქმედი ორგანული კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის წევრების ზურაბ ტყემალაძის, ნოდარ ებანოიძის, მიხეილ მაჭავარიანისა და გიორგი მელაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტები: ,,საქართველოს საგადასახადო კოდექსში" ცვლილებების შეტანის შესახებ" ცვლილების შეტანის შესახებ"; „პროდუქციის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ" და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე."

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებასთან, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების თაობაზე" კანონის მიღებით, რომელსაც მხარი დაუჭირა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უვადოდ მიენიჭა გამარტივებული შესყიდვის მეშვეობით შესყიდვების განხორციელების უფლებამოსილება, რაც მომავალში მნიშვნელოვნად გაამარტივებს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებს.

კომიტეტმა ასევე მხარი დაუჭირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთვსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე". კანონპროექტის მიღებით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონში ავტონომიური რესპუბლიკების მიმართ არსებული ჩანაწერის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირების ჩამონათვალის გაზრდა მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით ერთგვაროვანი სამართლებრივი სივრცის შესაქმნელად.

კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირა პარლამენტში სარატიფიკაციოდ შემოსულ ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებას ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარების, გზების მშენებლობისა და ეკონომიკური განვითარების საკითხებზე.

კომიტეტს სახელმწიფოებრივი ინტერესების და საერთო ეროვნული პლატფორმის (ნიადაგის) გამოვლენად მიაჩნია და პოზიტიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ უმცირესობიდან პარლამენტის წევრების უმეტესობამ, მიუხედავად რიგ საკითხებში აზრთა კატეგორიული სხვადასხვაობისა, არსებითად დაუჭირა მხარი კანონპროექტებს (კანონპროექტთა პაკეტებს) „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე", საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტს „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ", „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის" თაობაზე და სხვა.

კანონშემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტი თანამშრომლობს პარლამენტის კომიტეტებთან (ჩატარდა 11 გაერთიანებული სხდომა), საპარლამენტო უმრავლესებასთან და ფრაქციებთან, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან, პარლამენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან. აღნიშვნას იმსახურებს კომიტეტისა და კვლევით დეპარტამენტის, ასევე პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლობის პრაქტიკა კანონშემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით. კომიტეტი ტრადიციულად თანამშრომლობს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრთან, პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უცხოელ ექსპერტებთან (კოორდინატორი-კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ალი მამედოვი), ეროვნული და რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან.

კომიტეტს მიაჩნია, რომ უახლოეს პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ძირეული საკანონმდებლო რეფორმა მოითხოვს სათანადო რესურსების მაქსიმალურ

თავმოყრას და ერთობლივ ძალისხმევას. ამ მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში კომიტეტი უზრუნველყოფს ინტენსიურ მონაწილეობას მთავრობის სტრატეგიით განსახორციელებელ ღონისძიებებში, მათ შორის:

-თემატური სამუშაო ჯგუფების მიხედვით (ტერიტორიული მოწყობა, საზღვრები, ინსტიტუციური უზრუნველყოფა, კომპეტენციები, ფინანსები და ქონება, სახელმწიფო ზედამეხდველობა, გამჭვირვალობა და მონაწილეობა, გეოინფორმااცია, სტატისტიკა, მაღალმთანი და განსაკუთრებული დასახლებების, სოფლის სტატუსის საკითხებზე სამუშაო ჯგუფი და სხვა);

-თვითმმართველობის რეფორმის ტექნიკურ-ინფორმაციული უზრუნველყოფის ხელშეწყობა (ერთიანი გეოინფორმაციული ბაზისთვის დასახლებების, თემების, მუნიციპალიტეტების და რეგიონების მიხედვით ძველი, ახალი და უახლოესი დოკუმენტური მასალების მოძიება, დარგის შესაბამისი სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართვა);

-კანონპროექტების საჯაროობის უზრუნველყოფა,-განხილვები, დისკუსიები, საზოგადოებრივი ექსპერტიზა, კანონპროექტების მიღება („სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის შესახებ", "მაღალმთიანი და განსაკუთრებული დასახლებების შესახებ", "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" (კოდექსი), ასევე თანმხმლები კანონპროექტების საჯარო განხილვების ორგანიზება, ახალმიღებული კანონის აღსრულების სამართლებრივ-ტექნიკური უზრუნველყოფა);

-მუნიციპალური ერთეულების ნუსხისა და საზღვრების დადგენა, სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება (მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოების და კონსულტაციების შეჯამება, ნუსხისა და საზღვრების შესახებ დაკუმენტების შემუშავება და დამტკიცება);

-რეფორმის სხვა ღონისძებების განხორციელება (თვითმმართველი ერთეულების ორგანოებში კომპეტენციების ზუსტი გამიჯვნა, დარგობრივი და სპეციალური საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტში ცვლილებების და დამატებების მომზადება და მიღება, ადგილობრივი ეკონომიკისა და მომსახურების საკითხები, მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების ტერიტორიულ-სამართლებრივი ასპექტების განსაზღვრა)

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამუშაოთა დიდი მოცულობისა და არჩევნებამდე დარჩენილი დროის შეზღუდულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გადახალისდეს კომიტეტთან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 54[1] მუხლით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო და მოწვეულ იქნას დარგის საუკეთესო სპეციალისტები და კონსულტანტები.

III. კომიტეტის საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელება

2012 წლის 23 ნოემბერს კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია:

-რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში მიმდინრე პროექტებისა და პროგრამების შესახებ;

-რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეორგანიზაციის თაობაზე (მომხსენებელი- დავით ნარმანია).

აღნიშნული სამინისტროსა და კომიტეტს შორის ჩამოყალიბდა პარტნიორული ურთიერთობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო კანონშემოქმედებითი საქმიანობის, სამართლებრივი რეგულირების, კანონების იმპლიმენტაციის, სახელმწიფო

პროგრამებისა და პროექტების განხორციელების მონიტორინგისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის, სამოქალაქო წინადადებებისა და განცხადება-საჩივრების ერთობლივი შესწავლა-განხილვისა და სხვა საკითხებზე.

ადგილობრივი თვითმართველობის სფეროში კანონმდებლობის ძირეული რეფორმის მოსამზადებლად კანონპროექტების ექსპერტიზის, მოქმედი სამართლებრივი აქტების ხარვეზების და აღსრულების პრობლემების, სახელმწიფო პრიორიტეტების განხორციელების მიმდინარეობისა და მონიტორინგის, ასევე ადგილობრივი პრობლემების შესწავლის მიზნით მოეწყო მოსახლეობასთან კომიტეტის წევრების შეხვედრები მოეწყო თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, ზუგდიდში, მესტიაში, მარნეულის, დუშეთის, ოზურგეთის, ჭიათურის, ტყიბულის, მცხეთის, ზესტაფონის, ბაღდათის, ყაზბეგის, გორის, თიანეთის მუნიციპალიტეტში. შედგა საქმიანი შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის, საჯარო სკოლების მასწავლებლების, რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან, განხილულ იქნა ინფრასტრუქტურული განვითარების მდგომარეობა, ელენერგიით, ბუნებრივი აირით და წყალმომარაგების, გამრიცხველიანების, გზების შეკეთების, ახალი აგრარული პრიორიტეტების განხორციელების, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" და სხვა სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობა.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაყრდნობით კომიტეტი ახორციელებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის საერთო ზედამხედველობას.

აღსანიშნავია, რომ "სახელმწიფოს 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით და საქართველოს მთავრობის დადგენილებით (7 თებერვალი, 2013 №23) წინა წლებთან შედარებით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და სოფლის მხარდჭერის პროგრამის მოცულობა და ფინანსური უზრუნველყოფა, ადრე წესად ქცეული მოჩვენებითი კეთილდღეობის სინდრომისა და ტრადიციული პიარ-კომპანიების მავნე მემკვიდრეობის დასაძლევად დაზუსტდა თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმართ კომიტეტის საკონტროლო და საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელების მდგომარეობა.

ცნობილია, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი შეადგენს 901 მილიონ ლარს, აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 501,740 ათასი ლარი, გზების მშენებლობას და მოვლა-შენახვას 206 მილიონი ლარი, პერიოდული შეკეთებას და რეაბილიტაციას 88 მილიონი ლარი, თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის 15–21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია 2,5 მილიონი ლარი, მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებას 5 მილიონი ლარი, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132-ე კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობას 4 მილიონი ლარი, შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის განხორციელებას 52 მილიონი ლარი, კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტის რეალიზაციას 7 მილიონი ლარი, სასადილო-სიონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაციას 7 მილიონი ლარი, ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობას 290 მილიონი ლარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის

სატრანზიტო მაგისტრალის I (აღაიანი–ოგოეთი, რიკოთის გვირაბის რეაბილიტაცია) 4,5 მილიონი ლარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (სვენეთი–რუისი)-მშენებლობას 18,3 მილიონი ლარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (რუისი-აგარა) დამატებითი დაფინანსება 20 მილიონი ლარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV მშენებლობას 27 მილიონი ლარი, აჭარის შემოვლითი გზის მშენებლობას 70 მილიონი, ქობულეთის შემოვლით გზას 70 მილიონი ლარი, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობას 93,4 მილიონი ლარი, სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-მშენებლობას 54 მილიონი ლარი.

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის 2013 წელს გამოყოფილია 182 მილიონი ლარი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელ პროექტებზე 4 მილიონი ლარი, რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი 6,3 მილიონი, მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტებზე (II ფაზა) 523.5 მილიონი ლარი, მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე 80 მილიონი ლარი, კახეთის რეგიონის განვითარებაზე 30,7 მილიონი ლარი, იმერეთის რეგიონის განვითარებაზე 45 მილიონი ლარი, მცხეთის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტზე 2,5 მილიონი ლარი.

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენისა და რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებულია 130,6 მილიონი ლარი, მათ შორის: რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებებზე 12 მილიონი ლარი, წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე 60 მილიონი ლარი. ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამას მოხმარდება (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) 50 მილიონი ლარი.

ოფიციალური მონაცემებით მატერიალურ-ტექნიკურად და ფინანსურად უზრუნველყოფილია გეგმილი სახელმწიფო ღონისძიებებისა და ყველა სამუშაოების შესრულება. უწყვეტი მრავალცვლიანი სამუშაო პროცესებია ჩქაროსნული გზის სამივე მონკვეთზე, ხორციელდება რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების პროექტები, ამ მიზნისთვის ექვსი თვის მონაცემებით დახარჯული 50 მილიონ ლარზე მეტი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებულია: გურიის მხარეში 39 პროექტები-12,3 მილიონი ლარის ოდენობით, იმერეთის მხარეში 88 პროექტი-47 მილიონი ლარის ოდენობით, კახეთის მხარეში 96 პროექტი,- 24 მილიონი ლარი, ქვემო ქართლის მხარეში 133 პროექტი- 27 მილიონი ლარის ოდენობით, შიდა ქართლის 31 პროექტი 16,5 მილიონი ლარის ოდენობით, მცხეთა-მთიანეთის მხარეში 75 პროექტი 16,3 მილიონი ლარის ოდენობით (მათ შორის დუშეთის მუნიციპალიტეტში 9 პროექტი- 4,7 მილიონი ლარის ოდენობით), სამცხე-ჯავახეთის მხარეში 35 პროექტი 14,3 მილიონი ლარის ოდენობით, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში 91 დიდი და მცირე პროექტი 21 მილიონი ლარის ოდენობთ, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში 32 დიდი და მცირე პროექტი- 17,4 მილიონი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობამ 2013 წლის აპრილში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყო 30 252 345 ლარი.

ბოლო წლებში ქვეყანაში ინფრასტრუქტურის განვითარების მნიშვნელობის გათვალისწინებით მიღებულია გადაწყვეტილება და 2013 წლის 11–13 სექტემბერს თბილისში ჩატარდება ინფრასტრუქტურის მესამე საერთაშორისო კონფერენცია („საავტომობილო გზები და მიწისქვეშა კომუნიკაცია"), რომელსაც ამზადებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ღიაა ყველა მსურველის მონაწილეობისთვის.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" შემუშავებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული პრინციპების და „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად.

პროგრამის ძირითადი მიზნია თანხის წარმართვა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების, კეთილმოწყობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების და სხვა გადაუდებელი საჭიროებებისთვის; პროგრამა გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიღებაში მოსახლეობის მონაწილეობას.

ამ პროგრამის განსახორციელებლად საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნა 50 მილიონი ლარი ლარი, რომელიც მთავრობის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად გადანაწილდა კონკრეტულ სოფლებზე. პროგრამით გათვალისწინებული თანხები გადარიცხულია შესაბამის თვითმმართველ ერთეულებში. თანხის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისთვის პასუხისმგებელია შესაბამისი მუნიციპალიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს პროექტების განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პროცედურების შესაბამისად, საერთო კოორდინაციას და მონიტორინგს ახორციელებს სამინისტრო.

ამ მიზნისთვის 2013 წელს, მაგალითად, გურიის მხარის 320 სოფელს გამოეყო 2,9 მილიონი ლარი, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტის 600-მდე სოფელს 8 მილიონი ლარი. აღსანიშნავია, რომ ახალი კრიტერიუმებით მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროექტმა მოიცვა ყველა დასახლებული მაღალმთიანი სოფელი, უზრუნველყოფილია პროექტების შესრულების გამჭვირვალობა. სამინისტროს ექვსი თვის ოფიციალური ანგარიშით პროგრამა წარმატებულად ხორციელდება.

რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. ფონდის ძალისხმევით ათობით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, მათ შორის მნიშვნელოვანია:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერის ღონისძიებები;
-კონფლიქტის ზონაში მდებარე სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია, რომლის საპროექტო ღირებულება 13 მილიონ ლარს აღემატება. ტირიფონის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის შედეგად 23 სოფლის 8500 ჰექტარი მიწა მოირწყვება, სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად კი 16 სოფლის 9700 ჰექტარი;
-თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა;
-წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია საქართველოს ქალაქებში;
-საავტომობილო გზების რეაბილიტაცია;
-ტურისტული და კულტურული ცენტრების რეაბილიტაცია
-ტენდერი ზუგდიდში დევნილთათვის 8 საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობაზე.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში წლების განმავლობაში გამეფებული საყოველთაო განუკითხაობის, ძარცვისა და ნგრევის შედეგად რეგიონებში, მუნიციპალიტეტებში, სოფლებსა და დასახლებებში უმძიმესია ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამ თვალსაზრისით სავსებით ბუნებრივია მოსახლეობის მოლოდინი, რაც უკავშირდება ახალი ხელისუფლების პრიორიტეტებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაცვლელად. ამასთან ცხადია ისიც, რომ ეკონომიკაში სასწაულები ნაკლებად ხდება და დაკავშირებულია ფუნდამენტურ სისტემურ ცვლილებებთან, უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან და არაორდინარული ეკონომიკური ცვლილებების განხორციელებასთან, რაც დროსა და უზარმაზარ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ავანტიურიზმი ეკონომიკაში, ისევე, როგორც პოლიტიკაში,-დამღუპველია, რაც წლების განმავლობაშო ხორციელდებოდა ხელისუფლებაში არსებობის გასახანგრძლივებლად და რომლის ნაყოფსაც ახლა ხალხი და ქვეყანა იმკის. ეკონომიკის პოლიტიზირება ახლაც გრძელდება და ამისი მკაფიო დასტურია წინასაარჩევნო განცხადებები შეწყვეტილ ან გაჩერებულ წყალმომარაგების, გაზიფიკაციის, გადამამუშავებელი საწარმოების და სხვა პროექტებზე, რასაც თავს ახვევდნენ ქვეყანა რეალური გონივრული ფინანსური და მატერიალური გათვლებისა და საფუძვლების გარეშე. ამასთან ცხადია, რომ წარმოუდგენელია თანამედროვე ადამიანი, ოჯახი, დასახლება (რომელთა დიდ ნაწილს აქვს წვდომა ინტერნეტსა და სხვა საინფორმაციო საშუალებეზე) წყლის, ელექტროენერგის, გაზის და სხვა კომუნალური საშუალებების მიწოდების გარეშე, რაც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. მით უფრო, რომ ძვირადღირებული სარეიტინგო გამოკითხვების გარეშე კარგად იცის უმრავლესობამ და უმცირესობამ, რომ დასაქმება და შემოსავალი, იყო, არის და რჩება ახალი ხელისუფლების უპირველეს ამოცანად და გადაწყვეტას ელოდება.

გამომდინარე აქედან საშემოდგომო სესიის პერიოდში კომიტეტი ზედამხედველობის წესით მოისმენს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, რეგიონებში პრეზიდენტის (მთავრობის) რწმუნებულების ანგარიშებს, ასევე დადგენილი წესით გააკონტროლებს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების, მუნიციპალური განვითარების პროექტებისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესრულების მიმდინარეობას, შესაბამისი წინადადებით წარდგება პარლამენტის ხელმძღვანელებისა და მთავრობის წინაშე.

IV. კომიტეტის ღონისძიებები, შეხვედრები, სემინარები, ვიზიტები საზღვარგარეთ

2012 წელის 11-12 ნოემბერს დაბა ქობულეთში გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა სემინარი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ კომიტეტის წევრები და აპარატის მუშაკები, დარგის ექსპერტები და სპეციალისტები, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები.

2013 წელის 2-3 თებერვალს ქალაქ ქობულეთში კომიტეტის ინიციატივითა და განვითარების პროგრამის ხელშეწყობით გაიმართა სემინარი პროგრამული ბიუჯეტირების, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების საბიუჯეტო ურთიერთობის საკითხებზე. მონაწილეობდნენ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები.

15 თებერვალს პოლონეთის საელჩოში კომიტეტის თავმჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკი და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გია ჟორჟოლიანი შეხვდნენ პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს იეჟი სტეპიენს. საუბარი შეეხო თვითმმართველობის რეფორმის სტრატეგიას საქართველოში, რეგიონული განვითარების პერსპექტივებს და ამ მიმართულებით ქვეყნის ახალი ხელისუფლების პოლიტიკას.

18 თებერვალს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის თბილისის ბიუროში გაიმართა კომიტეტის ხელმძღვანელების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის და პროგრამის რეგიონული კოორდინატორის სამუშაო შეხვედრა, განხილულ იქნა რეგიონული განვითარების და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში თანამშრომლობის მომავალი სამი წლის პრიორიტეტები. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

28 თებერვალს თბილისში, სასტუმრო „ამბასადორში" შედგა კომიტეტის ხელმძღვანელებისა და წევრების ოფიციალური შეხვედრა ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის დელეგაციასთან, შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ დარგის სპეციალისტები და ექსპერტები. განხილულ იქნა 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, ადგილობრივი თვითმმართველობების პრობლემები, საქართველოს ახალი ხელისუფლების სტრატეგია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

17 აპრილს საქართველოს პარლამენტში კომიტეტის წევრების მონაწილეობით შედგა შეხვედრა ეუთოს წარმომადგენლებთან, განხილულ იქნა ადგილობრივ თვითმმართველობის განვითარებაში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის საკითხები.

18 აპრილს საქართველოს პარლამენტში USAID მხარდაჭერით გაიმართა კომიტეტის წევრების სამუშაო შეხვედრა. განიხილეს საქართველოსათვის ამერიკის შეერთებული შტატების მიმდინარე და სამომავლო დახმარების პრიორიტეტები, მათ შორის რეგიონული პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

22 აპრილს სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გაიმართა „საერთაშორისო გაჭირვალობა საქართველოს" სამუშაო შეხვედრა კომიტეტის ხელმძღვანელებთან. განიხილულ იქნა ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული მდგომარეობა, შემუშავდა რეკომენდაციები.

24 აპრილს კომიტეტის ინიციატივით და NDI მხარდაჭერით სასტუმრო „თბილისი მარიოტში" გაიმართა სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სადაც განიხილეს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ძირითადი პრინციპები (2013-2014 წლები) და პრიორიტეტები.

10 მაისს კომიტეტის თავმჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკი „თბილისი მარიოტში" შეხვდა გაეროს განვითარების პროგრამის დირექტორის მოადგილეს ინიტა პაულოვიცას. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის საკითხები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები. საქართველოში NDI-ის წარმომადგენლობის დირექტორმა ლუის ნავარომ და კომიტეტის თავმჯდომარემ მიმდინარე საკითხების განხილვასთან ერთად დაათვალიერეს მომზადების პროცესში მყოფი რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ვებგვერდის სატესტო ვარიანტი.

11 მაისს კომიტეტის თავმჯდომარე ერეკლე ტრიპოლსკი შეხვდა ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ხელმძღვანელობას, განიხილეს 2013-2013 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ძირითადი პრინციპების რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაო საკითხები.

23 მაისს სასტუმრო „თბილისი მერიოტში" გაიმართა პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრების სამუშაო შეხვედრა პოლონეთის რესპუბლიკის სენატის თვითმმართველობისა და სახელმწიფო მართვის კომიტეტის დელეგაციის წევრებთან. კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი ტრიპოლსკიმ და თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გია ჟორჟოლიანმა პოლონეთის დელეგაციას გააცნეს ქვეყნის ხელისუფლების სტრატეგია ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების განხორციელებასთან დაკავშირებით, მოისმინეს პოლონური გამოცდილება, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე იყო გათვლილი და რამდენიმე ეტაპად განხორციელდა.

2013 წლის 3 ივნისს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ჟორჟოლიანი კონგრესის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენლებს შეხვდნენ. განიხილეს თვითმმართველობის სფეროში არსებული მდგომარეობა და პრობლემები. დელეგაციის წევრები დაინტერესდნენ საქართველოში თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობით, მათ შორის, დაგეგმილი ტერიტორიული რეფორმითა და ადგილობრივი ხელისუფლებების არჩევითობის საკითხებით. კომიტეტის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს შესთავაზეს შეიმუშაონ თანამშრომლობის ფორმატი, რომელიც ხელს შეუწყობს კონგრესის რეკომენდაციების განხორციელებას და უზრუნველყოფს შედეგებს შეაფასებს.

2013 წლის 17-19 ივნისს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ესტონეთის რესპუბლიკაში. დელეგაცია გაეცნო თვითმმართველობის რეფორმასა და რეგიონული განვითარების სფეროში ესტონეთის გამოცდილებას, დაათვალიერა რამდენიმე მუნიციპალიტეტი, შეხვდა ესტონეთის რესპუბლიკის პარლამენტის წევრებს და საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელებს, ესტონეთის რეგიონული განვითარების მინისტრს.

2013 წლის 1-3 ივლისს საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის დელეგაცია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთის რესპუბლიკაში დელეგაცია პოდლასკას რეგიონში გაეცნო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო გამოცდილებას.

11 ივლისს საქართველოს რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ხელმძღვანელები და კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ საპარლამენტო უმრავლესობასთან საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაში (დაბა ურეკი). ბიძინა ივანიშვილმა მოისმინა კომიტეტის პოზიცია და ხედვები ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საკანონმდებლო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

V. კომიტეტის აპარატი, ანალიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა

რეგიონებიდან და მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციები, ცნობები, სხვა მასალები, რომლებიც შეეხებიან ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ და სოციალური განვითარების საკითხებს, ბიზნეს–გარემოს გაუმჯობესებას, მოსაზრებებს და წინადადებებს ადგილობრივი რესურსების ასათვისებლად, ანალიზდება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით და წარედგინება კომიტეტის თავმჯდომარეს, კომიტეტის წევრებს.

ასე, მაგალითად, გაანალიზდა ქედას მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქედას" ინიციატივით მომზადებული დოკუმენტი(„ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 წლებში") შესწავლაზე, მოამზადა შესაბამისი ანალიტიკურ ცნობა სხვა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში განსაზოგადებლად. აგრარული კომიტეტის სპეციალისტების მონაწილეობით შესწავლილ იქნა მოქალაქეთა ჯგუფის წერილი საქართველოს მთიანეთში ტრადიციული მეცხვარეობის აღდგენის თაობაზე.

დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ტრიპოლსკის ხელმძღვანელობით გაანალიზდა დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და შემუშავდა მათი ეტაპობრივი გადაწყვეტის წინადადებები, შესაბამისი წერილები და მიმართვები გაიგზავნა საქართველოს მთავრობაში, სამინისტროებსა და უწყებებში. მიმდინარე წელს დასრულდება დუშეთის ხევზე 2 ხიდის აშენებისა და ნაპირსამაგრის მოწყობის, ქ. დუშეთში, ბექაურის ქუჩის მოასფალტების, გზების შეკეთების, ჭოპორტის თემის, ბულაჩაური-ქუბრიაანთკარის სასმელი წყლით მომარაგების, ჟინვალის თემში შიდა გზების მოასფალტების, დაბა ჟინვალში გზის შეკეთების, ფასანაურის (ხევშა-ფასანაური) წყალმომარაგების, ფასანაურის ნაპირსამაგრი სამუშაოების, ტრანსფორმატორის შეძენა-მონტაჟის, ქვეშეთის თემში სპორტული დარბაზის რემონტის და სხვა პროექტები.

დუშეთის მუნიციპალიტეტში 2013-2014 წლებში გადაწყდება ცალკეული დასახლებების წყალმომარაგების, გამრიცხველიანების, ელექტროქსელების აღდგენის, გზების შეკეთების, ნარჩენების გატანის მოწესრიგების საკითხები. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად საერთოა ქვეყნის მაშტაბით, მაჟორიტარი წევრების ინიტივით პერიოდულად იხელება კომიტეტის შეკრებაზე. აღსანიშნავია, რომ კომიტეტის მაჟორიტარ წევრებს (რომლებიც კარგად იცნობენ ადგილობრივ მოსახლეობას და მათ განწყობას, მიაჩნიათ, რომ მუნიციპალიტეტების ოპტიმიზაციის საკითხებში დაუშვებელია აჩქარება, წლების განმავლობაში (ზოგან ასწლეულებში-გეოგრაფიულ, რელიეფურ, ეკონომიკურ, საციალურ მიზანშეწონილობის საფუძველზე) ჩამოყალიბებული ტრადიციებისა და იდენტობის ნიველირება და ხელყოფა. ბუნებრივია, რომ ცალკეულ რეგიონებში რეალურად არსებობს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის აუცილებლობა, რომელიც უნდა გამხორციელდეს მხოლოდ და მხოლოთ ხალხთან კონსულტაციების, და მათი აზრის და პოზიციების სრულად გათვალისწინების ვითარებაში. არსებობს გონივრული ვარაუდი და შეშფოთების საფუძველი, რომ მუნიციპალიტეტების ნაჩქარევ ოპტიმიზაციას შესაძლოა მოჰყვეს განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების მეტი იზოლირება და ინტეგრაციული პროცესების შეფერხება.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ჟორჟოლიანი სისტემატიურად იმყოფება საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში, წარმართავს სამუშაო ჯგუფის საქმიანობას მოსახლეობისათვის უპირველესი სოციალური, ეკონომიკრი საჭიროებების, დასაქმების საკითხების სახელმწიფოებრივი გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

კომიტეტის აპარატის ყურადღების ცენტრშია ვითარება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ასევე მოსახლეობის სხვა სპეციფიკურ ჯგუფებთან, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობებთან მუშაობის ცალკეული საკითხები.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის აპარატმა გაანალიზა და მოამზადა დასკვნის პროექტები კომიტეტში შემოსულ 25 კანონპროექტზე (წამყვანი და სავალდებულო), ასევე 7 საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებაზე, განახორციელა კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე გატანასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საქმიანობა. კომიტეტის აპარატი გაეცნო კომიტეტში შემოსულ ყველა კანონპროექტს. განიხილა მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, კერძო და საჯარო სექტორიდან შემოსული შემოსული 330 წერილი, განცხადება და საჩივარი. მოამზადა და უზურნველყო სხვადასხვა უწყებებში 200-მდე წერილის გაგზავნა და შიდა საპარლამენტო მიმოწერა. კომიტეტის აპარატმა 3 საკანონმდებლო წინადადებაზე, შეიმუშავა შესაბამისი წინასწარი დასკვნა.

კომიტეტის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია მოქალაქეთა წერილებზე მუშაობა. საანგარიშო პერიოდში კომიტეტში (თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა) მოქალაქეთა 158 განცხადება და საჩივარი, (საჩივარი-12), ერთობლივი - 67. კონტროლზე იყო აღებული- 92, მიღებულია პასუხი - 86 წერილზე, განხილვის პროცესშია-6. დადგენილ ვადებში რეაგირებულია ყველა საჩივარი და განცხადება.

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის სახელზე შემოსულია 113 განცხადება და მიმართვა, ზეპირი თხოვნა, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების ალი მადოვისა და გია თევდორაძის სახელზე შესაბამისად შემოვიდა-13 და 31 წერილი და მიმართვა.

კომიტეტში ორგანიზებულია მოქალაქეთა მიღება.

გააანალიზდა მოქალაქეთა ე.წ. პრობლემური წერილების შინაარსობრივი ხასიათი და გეოგრაფია; შინაარსის მიხედვით კანონმდებლობის საკითხებზეა -10 წერილი, რეგიონულ განვითარების საკითხებზე -19, საბინაო მოწყობის პრობლემებზე -15, სტიქიით გამოწვეული ზარალის კომპენსაციაზე -25, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის საკითხებზე- 31, დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების საკითხებზე-18, მიწათსარგებლობის საკითხებზე -23, უძრავი ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე -21, მშენებლობის, ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის საკითხები - 27, სამართლიანობის აღდგენის საკითხებზე-14. აღსანიშნავია, მოქალაქეები ხელისუფლებისგან მოითხოვენ სამართლიანობის აღდგენისთვის საქმიანობის გაძლიერებას, მიწათსარგებლობის კანონმდებლობის სრულყოფას, გამოხატევენ შეშფოთებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით.

მოქალაქეთა ცალკეულ წერილებში დაყენებული საკითხები გადაწყდა დადებითად. ასე, მაგალითად, სს „ლიბერთი ბანკმა" ერთჯერადი დახმარება (3000 ლარი) აღმოუჩინა ქალაქ დუშეთის მკვიდრს ნინო ხაჭაპურიძეს.

კომიტეტში შემოსული ყველა წერილი რეაგირებულია და პასუხი გაცემულია წერილობით ან ჩამოწერილია დადგენილი წესით.

კომიტეტის აპარატი დადგენილი წესით უზრუნველყოფს პარლამენტის რეგლამენტის, კომიტეტის დებულების, საქართველოს პარლამენტის აპარატის დებულების, საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულებას. განსაზღვრულ ვადებში დგება კომიტეტის სხდომების ოქმები, ასევე სამუშაო შეხვედრების, გასვლითი

კომიტეტის სხდომების და სხვა ღონისძიებების ოქმებითა და საარქივო აუდიო ჩანაწერების მომზადება.

2013 წლის მარტიდან კომიტეტის აპარატი ადგენს ყოველკვირეულ ინფორმაციას კომიტეტის საქმიანობისა და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ და უგზავნის პარლამენტის უმრავლესობას და საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

აპარატის შენაგანაწესით აპარატის მუშაკებს შორის განაწილებულია ფუნქციები და მოვალეები საკანონმდებლო მიმართულებების, მუშაკების სპეციალობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. პერსონიფიცირებულია საქმიანობა ისეთ ზოგადმარეგულირებელ კანონებზე, როგორიცაა „საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ", „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ", „საარჩევნო კოდექსი", „ადგილობრივი ქონების შესახებ", „საბიუჯეტო კოდექსი", „საგადასახადო კოდექსი და სხვა.

კომიტეტში შემოსული კორესპოდენცია (მათ შორის მოქალაქეთა წერილები) ნაწილდება რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების, ასევე დარგობრივი მიმართულების შესაბამისად.

აპარატის მუშაკები მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე გამართულ ეროვნულ და საერთაშორისო ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში სტაჟირება და პრაქტიკა გაიარა ექვსმა ახალგაზრდა სპეციალისტმა.

ივლის-აგვისტოში აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდა კომიტეტში ხელშეკრულებით მომუშავე 3 თანამშრომელი, მათ შორის სამტატო თანამდებობაზე დაინიშნა-2, კონკურსის წესით შეირჩა-1.

VI. კომიტეტის საქმიანობის ძირითადი სამომავლო მიმართულებები

1.საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ძირეულ რეფორმასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ორგანიზაციული, ანალიტიკური, ტექნიკური სამუშაოების სრული მოცულობით უზრუნველყოფა, საკანონმდებლო პროცესის საზოგადოების ფართო მონაწილეობით და დადგენილი წესითგანხორციელება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მომზადება და მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა.

3. ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის შემდგომი განვითარება, უფლებამოსილებებისა და რესურსების მკაფიო გამიჯვნის უზრუნველყოფა.

4. ადგილობრივი ეკონომიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა.

5. მუნიციპალური საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის და სტანდარტების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის ამაღლების ხელშეწყობა, ტრენინგებისა და სისტემატიური სწავლების პირობების შექმნა, მეთოდოლოგიური დახმარების უზრუნველყოფა (რათა ადგილებზე შეიქმნას ნიჭიერ და ინიციატივიან პირთა გამოვლენისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს ქვეყანაში ახალი თაობის კვალიფიციური და საქმიანი ადამიანების აღზრდას).

7. მოკლე დროში კომიტეტის საქმიანობის ამსახველი საიტის შექმნა, რომელიც ასევე პორტალისა და შიდასაკომუნიკაციო ფორუმის ფუნქციას შეასრულებს და გახდება ადგილობრივ თვითმმართველობებთან და სხვა ორგანიზაციებთან საურთიერთობო ინსტრუმენტი.
8. ადგილობრივი თვითმართველობის საკითხებზე, ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტისა და კომიტეტში მიმდინარე საქმიანობის თაობაზე გაზეთის გამოცემა(ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის აღდგენა).

კომიტეტის თავმჯდომარე

ერეკლე ტრიპოლსკი

თბილისი, 2 სექტემბერი, 2013 წელი.